# მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობა – უკრაინა თავის პრიორიტეტებს წარადგენს

*სტამბოლი, 11.05.2011 – უკრაინამ მომავალი ექვსი თვის ვადით გადაიბარა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობა.*

უკრაინას მიაჩნია, რომ მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობა იძლევა შანსს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს თანამედროვე ევროპულ პროცესებში, სადაც ევროპის საბჭო მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იგი უზრუნველყოფს ევროპის საბჭოს პრიორიტეტების განხორციელებას, განსაკუთრებით დემოკრატიის გაძლიერებაში, კანონის უზენაესობის პატივისცემასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. უკრაინა აპირებს გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები, რათა წინ წაწიოს ევროპის საბჭოს ძირითადი პრიორიტეტების განხორციელება და გააძლიეროს ორგანიზაციის პოლიტიკური როლი.

თავმჯდომარეობის ფარგლებში უკრაინა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ პრიორიტეტებზე:

1. ბავშვთა უფლებების დაცვა. ორგანიზაციაში ამჟამად არსებული პროგრამების და გადაწყვეტილებების, ასევე ახალი ინიციატივების განვითარების ჭრილში  უკრაინის თავმჯდომარეობა მიზნად ისახავს ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში წევრი ქვეყნების რეგიონული და ეროვნული ინიციატივების კოორდინაციაში ევროპის საბჭოს როლის გაძლიერებას;
2. ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა ევროპაში დემოკრატიული სტაბილურობის კონტექსტში. ევროპის საბჭომ შექმნა ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური სისტემა. უკრაინის, როგორც თავმჯდომარის მეორე პრიორიტეტი იქნება დარღვევათა პრევენციაზე ყურადღების გამახვილება. მ/წ 20-21 სექტემბერს, კიევში დაგეგმილია საერთაშორისო კონფერენცია თემაზე - „პრევენციის როლი ადამიანის უფლებების ხელშეწყობასა და დაცვაში“, რაც იქნება უკრაინის, როგორც თავმჯდომარის პრაქტიკული წვლილი ამ თვალსაზრისით.
3. ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება და გაძლიერება. ევროპაში დემოკრატიული პროცესების განმტკიცება ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე, ევროპულ ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპების ეფექტიანი დანერგვითა და ევროპის საბჭოს, როგორც ამ სფეროში სტანდარტების დამდგენი ორგანიზაციის პოტენციალის გამოყენება არის უკრაინის თავმჯდომარეობის მორიგი პრიორიტეტი. მისივე ხელმძღვანელობით მ/წ 3-4 ნოემბერს კიევში გაიმართება ადგილობრივ და რეგიონულ მმართველობაზე პასუხისმგებელ მინისტრთა ევროპის საბჭოს კონფერენციაც.

ევროპის საბჭოს ფარგლებში პროცესების უწყვეტობის ხელშეწყობისათვის, თავმჯდომარეობის ჩაბარებამდე, უკრაინამ წარმართა კონსულტაციები დიდ ბრიტანეთთან და ალბანეთთან, როგორც მომავალ თავმჯდომარეებთან. შედეგად, ეს არის პირველი შემთხვევა, როცა მინისტრთა კომიტეტის სამი მომდევნო თავმჯდომარე იმუშავებს იმავე სქემით ევროპის საბჭოს რეფორმების მიზნების მისაღწევად, რითიც დაამკვიდრებენ ორგანიზაციის *modus operandi-ის* ახალ პრაქტიკას.

პრეს-კონტაქტი სტამბულში:

დანიელ ჰიოლტგენი, კომუნიკაციათა დირექტორი, მობ. 33 6 68 29 87 51; daniel.holtgen@coe.int
კენ ფიშეკი, მედია-ოფიცერი, მობ 33 6 75 65 03 41; can.fisek@coe.int

ევროპის საბჭოს კომუნიკაციათა დირექტორატი
tel: 33 (0)3 88 41 25 60
faqsi: 33 (0)3 88 41 39 11
pressunit@coe.int
www.coe.int

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: www.coe.int / www.coe.ge